საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

05/03/2025

MES 8 25 0000531719

გადაწყვეტილება

შპს კავკასიის უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენ ტი) ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. აკრედიტაციის დებულების 27^5 -ე მუხლის მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 23 სექტემბრის №1181522 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა შპს კავკასიის უნივერსიტეტის "მენეჯმენტის" სამაგისტრო, "ჯანდაცვის მენეჯმენტის" სამაგისტრო, "სტრატეგიული საჯარო მმართველობის" სამაგისტრო, "ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი) სამაგისტრო ინგლისურენოვანი და "მენეჯმენტის" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერზე სააკრედიტაციო ვიზიტი.

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება სტანდარტებთან მიმართებით.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს კავკასიის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი)" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 28 თებერვლამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა "მენეჯმენტის" სამაგისტრო, "ჯანდაცვის მენეჯმენტის" სამაგისტრო, "სტრატეგიული საჯარო მმართველობის" სამაგისტრო, "ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი)"

სამაგისტრო ინგლისურენოვანი და "მენეჯმენტის" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 5 მარტის სხდომის №240524 ოქმის №03 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

1.5.1 რეკომენდებულია, გადაიხედოს კურსების წინაპირობების განსაზღვრის მიდგომები.
1.5.2 რეკომენდებულია, გადაიხედოს კურსის ძირითადი ლიტერატურა თანამედროვე სტრატეგიული მენეჯმენტის სახელმძღვანელოების ჩართვის მიზნით, რაც უზრუნველყოფს სილაბუსის სრულყოფას.
1.5.3 რეკომენდებულია, სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სილაბუსებში, სადაც საერთოდ არ არის მითითებული დამხმარე ლიტერატურა, მიეთითოს ლიტერატურა, საიდანაც არის შერჩეული ნახსენები ქეისები. (მაგ. კურსი - მეწარმეობა და საწარმო), ასევე მრავალი კურსის შემთხვევაში მითითებული დამატებითი ლიტერატურა და სხვა წყაროები - "შერჩეული ქეისების შესწავლა" ან "ლექტორის მიერ მოწოდებული ქეისები".
1.5.4 რეკომენდებულია, განახლდეს სასწავლო გეგმა, ასევე გადაიხედოს დისციპლინები, სასწავლო კურსები და კონკრეტული კურსების წინაპირობები.
1.5.5 რეკომენდებულია, სასწავლო კურსის სილაბუსებში განახლდეს არა მხოლოდ ძირითადი, არამედ დამატებითი ლიტერატურა.
4.2.1 რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიტანოს ცვლილება დებულებაში, რომლის თანახმად სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებს უნდა გააჩნდეთ როგორც პრაქტიკული გამოცდილება, ასევე სულ მცირე მაგისტრის ხარისხი.

რჩევები:
2.1.1. სასურველია, უნივერსიტეტმა განათავსოს შესაბამისი ორგანიზაციების ბმული, სადაც ხელმისაწვდომია სრული ინფორმაცია ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვის შესახებ.
2.1.2. სასურველია, წინაპირობებში მიეთითოს, უნდა დაადასტუროს თუ არა კანდიდატმა ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა, ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი რომელი დოკუმენტებია აღიარებული უნივერსიტეტის მიერ და როდის თავისუფლდება კანდიდატი გამოცდისგან.
2.1.3. სასურველია, უნივერსიტეტმა აღწეროს მიღების წინაპიორბები იმისათვის, რომვკანდიდატს ჰქონდეს ნათელი წარმოდგენა CBU GMAT გამოცდის შესახებ.
2.1.4 სასურველია გადაწყვეტილების მიღების პროცესის აღწერა, თითოეული წინაპირობის ხვედრითი წონის მითითებით საბოლოო გადაწყვეტილებაში.
2.1.5. სასურველია, აღიწეროს უნივერსიტეტის გამოცდისთვის ქულების შეფასების და დაფინანსების მოთხოვნის პროცესში შესაგროვებელი მინიმალური ქულები.
2.1.5 სასურველია გადაიხედოს დაფინანსების მოპოვების ინგლისურენოვანი აღწერა.
2.3.1 სასურველია სწავლებაში ტექნოლოგიების გაძლიერება ინტერაქტიული სასწავლო პლატფორმების ან სიმულაციების გამოყენებით;
2.3.2 სასურველია თანამშრომლობის წახალისება დისციპლინათაშორისი პროექტებისა და სხვადასხვა პროგრამის სტუდენტებს შორის თანამშრომლობის რიცხვის გაზრდით.
3.1.1. სასურველია, უნივერსიტეტმა განიხილოს სტუდენტებისთვის ავტოსადგომის მოწყობის შესაძლებლობა.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 28 თებერვალს.

6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
თუთბერიძე გოჩა

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი №1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	27.07.2021 №746557
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	პაატა სააკაძის №1, თბილისი, 0102, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლასწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	28/02/2025
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	-
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	28/02/2032